

დანართი 36



ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
შპს - ორიენტირის 2017 წლის 14 ივნისი  
№ 01/36 ბრძანებით

დირექტორი:

რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება  
შ.პ.ს „ორიენტირი“

მასაჟისტი  
090651 (III საფეხური)



თბილისი 2017

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასაჟისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტის (1500 საათი), რომლის 60%- 36 კრედიტი /900 საათი ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 40% - 24 კრედიტი/600 საათი - პრაქტიკას.

- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
- ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
- თეორიული სწავლება მიმდინარეობს 23 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 17 კვირის მანძილზე.
- მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა

VI. სწავლების ენა: ქართული

VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და მინიმალური ასაკი 18 წელი, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

VIII. სფეროს აღწერა - მასაჟისტის საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვანი ქვესისტემაა. იგი მოიცავს: სამკურნალო მასაჟს; სპორტულ მასაჟს; ჰიგიენურ მასაჟს.

IX. პროფესიული პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მასაჟისტის მომზადება, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, კერძოდ: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიას; შინაგან დაავადებებს; სამედიცინო

მასაჟს; ჰიგიენას; მასაჟის სახეებსა და მეთოდებს; ფიზიკური რეაბილიტაცია და კინეზოთერაპია; პირველადი სამედიცინო დახმარება; ურთიერთობის ფსიქოლოგია; ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია.

## X. სწავლის შედეგი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლები.</li> <li>• დაავადებების ეტიოლოგია და პათოგენეზი.</li> <li>• კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდომოტორული, იზომეტრიული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვა). კინოზოთერაპიის ფორმები: პროცედურა-ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი.</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების წესები და პრინციპები.</li> <li>• ურთიერთობის ფსიქოლოგია</li> <li>• ჰაერის, წყლის, ნიადაგის ჰიგიენური მდგომარეობა;</li> <li>• შრომის, შენობის ჰიგიენის ელემენტარული ნორმები; გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.</li> <li>• სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები.</li> <li>• პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები, ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარების მეთოდები და მათი ჩატარების წესები.</li> <li>• სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: გარემოს სან-ჰიგიენური წესების დაცვით. სამასაჟე ოთახის ფართობი, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე), სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები, სპეციფიკური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა).</li> <li>• სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის</li> </ul>
-------------------------------------	---

	<p>(სისხლისმიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პაციენტის ჩართვის მეთოდები სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისათვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში.</li> </ul> <p>გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია.</li> <li>• დიაგნოზის წაკითხვა ლათინურ ენაზე და პაციენტის კლინიკური მდგომარეობის გაცნობა.</li> <li>• სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდების გამოყენება.</li> <li>• ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება.</li> <li>• მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა.</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა.</li> <li>• სამკურნალო მასაჟის მეთოდების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად) კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში.</li> <li>• ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება.</li> <li>• სამასაჟო ზეთების, საცხებისა და მალამოების, სპეციფიკური აპარატურის (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა) გამოყენება;</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებების დროულად ამოცნობა და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით მათი აღმოფხვრა.</li> <li>• დაავადების რისკ-ფაქტორების ამოიცნობა და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების განჭვრეტა;</li> <li>• შესაბამისი დასკვნების გამოიტანა და სამედიცინო გუნდთან შეთანხმებით მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების ჩასატარებლად მოქმედება;</li> <li>• საჭიროებების მიხედვით მასაჟის მეთოდისა და სამასაჟო მასალის (ზეთი, საცხები, მალგანსაზღვრაამოები) განსაზღვრა</li> </ul>

კომუნიკაციის უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება.</li> <li>• კომუნიკაცია პაციენტებთან, მისი ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან.</li> <li>• სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებების დაზუსტება.</li> <li>• საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.</li> </ul>
სწავლის უნარი	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე.</li> <li>• შესაბამისი წყაროების მოძიება, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის;</li> </ul>
ღირებულებები	<p><b>იცავს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს;</li> <li>• იცავს სანიტარულ ნორმებს.</li> <li>• იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს;</li> <li>• პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი.</li> </ul>

## XI. სწავლის შედეგების რუქა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგების კომპეტენციების ჩამონათვალი					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	MAS03-01	ინგლისური ენა		X		X		

2	MAS03-02	ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია		X				
3	MAS03-03	საინფორმაციო ტექნოლოგიები				X		
4	MAS03-04	ურთიერთობის ფსიქოლოგია	X	X				X
5	MAS03-05	პ.ს.დ.	X	X				
6	MAS03-06	ფიზიკური რეაბილიტაცია და კინეზოთერაპია	X	X				
7	MAS03-07	ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია	X	X	X			
8	MAS03-08	ჰიგიენა	X					X
9	MAS03-09	მასაჟის სახეები და მეთოდები	X	X				
10	MAS03-10	სამედიცინო მასაჟი	X	X				X
11	MAS03-11	შინაგანი დაავადებები	X		X			
12	MAS03-12	სასწავლო პრაქტიკა		X	X	X	X	X
13	MAS03-13	საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

## XII. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	პრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	სულ საათების რაოდენობა	
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო	დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო			
1	MAS03-01	ინგლისური ენა	2	12	14	-	-	2	2	30	20	50
2	MAS03-02	ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია	2	13	14	-	-	1	2	30	20	50

3	MAS03-03	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	12	14	-	-	2	2	30	20	50
4	MAS03-04	ურთიერთობის ფსიქოლოგია	3	21	23	-	-	2	2	48	27	75
5	MAS03-05	პ.ს.დ.	3	19	31	-	-	2	2	54	21	75
6	MAS03-06	ფიზიკური რეაბილიტაცია და კინეზოთერაპია	6	35	61	-	-	2	2	100	50	150
7	MAS03-07	ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია	3	18	28	-	-	2	2	50	25	75
8	MAS03-08	ჰიგიენა	2	10	18	-	-	1	1	30	20	50
9	MAS03-09	მასაჟის სახეები და მეთოდები	4	30	40	-	-	2	3	75	25	100
10	MAS03-10	სამედიცინო მასაჟი	6	38	67	-	-	2	3	110	40	150
11	MAS03-11	შინაგანი დაავადებები	3	23	33	-	-	2	2	60	15	75
12	MAS03-12	სასწავლო პრაქტიკა	10	-	-	245	-	2	3	250	-	250
13	MAS03-13	საწარმოო პრაქტიკა	14	-	-	-	345	2	3	350	-	350
		<b>ჯამი</b>	<b>60</b>	<b>231</b>	<b>343</b>	<b>245</b>	<b>345</b>	<b>24</b>	<b>29</b>	<b>1217</b>	<b>283</b>	<b>1500</b>

### XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	
ინგლისური ენა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	2											
ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	2											
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	2											
პ.ს.დ.	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	17	10										
ურთიერთობის ფსიქოლოგია																20	5	5	10	5	5	5	10	10
ფიზიკური რეაბილიტაცია და კინეზოთერაპია																				30	35	35	20	20

ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია	19	19	19	18																			
ჰიგიენა	5	5	5	5	4	4	4	8	5	5													
მასაჟის სახეები და მეთოდები									18	18	24	24	16										
სამედიცინო მასაჟი														30	20	35	35	25	5				
შინაგანი დაავადებები					20	20	20	15															
სასწავლო პრაქტიკა																							
საწარმოო პრაქტიკა																							
<b>კვირული დატვირთვა</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>39</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>39</b>	<b>39</b>	<b>39</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>39</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>35</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>40</b>	<b>30</b>	<b>30</b>

სასწავლო კურსები	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40						
სასწავლო პრაქტიკა	36	36	36	36	36	36	34																
საწარმოო პრაქტიკა								36	36	36	36	36	36	36	36	36	26						
<b>კვირული დატვირთვა</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>34</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>36</b>	<b>26</b>						

**XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) მომზადება/ჩაბარებას.

**XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;
  - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
  - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;



- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს: მინიმუმ ერთ შუალედურ გამოცდის შეფასებას, მიმდინარე შეფასებებს.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას.
- პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

## XVI. სწავლის მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, დისკუსია, განხილვა, როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა, ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამისი სილაბუსში.

## XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	ეთერ კუპრეიშვილი	ინგლისური ენის მასწავლებელი
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ეკა როჭიკაშვილი	საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერ სისტემო ტექნიკოსი
ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია	ნანა იაძე	პროფიზორი
პ.ს.დ.	ნინო დარჩია	ზოგადი პროფილის ექიმი
ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია	ნანა ტალახაძე	ექიმი
შინაგანი დაავადებები	ნანა ტალახაძე	ექიმი
სამედიცინო მასაჟი	ნინო ლურსმანაშვილი	ხელოვნებათმცოდნე, ინჟინერ ეკონომისტი, მასაჟისტი
ჰიგიენა	ქეთევან კაშია	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი ექიმი
მასაჟის სახეები და მეთოდები	ნინო ლურსმანაშვილი	ხელოვნებათმცოდნე, ინჟინერ ეკონომისტი, მასაჟისტი
ფიზიკური რეაბილიტაცია და კინეზოთერაპია	მაკა ადეიშვილი	ექიმი, მასაჟისტი
ურთიერთობის ფსიქოლოგია	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგ-დეველპტოლოგი
სასწავლო პრაქტიკა	ნინო ლურსმანაშვილი მაკა ადეიშვილი	ხელოვნებათმცოდნე, ინჟინერ ეკონომისტი, მასაჟისტი ექიმი, მასაჟისტი
საწარმოო პრაქტიკა	ნინო ლურსმანაშვილი	ხელოვნებათმცოდნე, ინჟინერ ეკონომისტი, მასაჟისტი

**XVIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

- წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შპს ორიენტირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული: კეთილმოწყობილი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სააუდიტორიო ფონდი, თვალსაჩინო მასალები;
- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი;
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა(წიგნადი, ელექტრონული)სახელმძღვანელოებით, პროფესიული ჟურნალებით, ინტერნეტ-რესურსებითადასხვა საინფორმაციო მასალებით.
  - ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

- შპს ორიენტის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“-სთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვაზე (ხელშეკრულება დაიდო 06.02.2012წ.-ში).

• ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია:

- კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი;
- ბიბლიოთეკა;

• საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე:

1. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

2. შპს ფორსე პალსი

**XIX. დასაქმების სფეროები** – მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სახის სავადმყოფოების მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ,  
კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში. მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-  
პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: სავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში,  
ბალეტის და დაცეკვის სასამბლეოებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში,  
საბავშვობალებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში. მასაჟისტს შეუძლია ექიმი-  
რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ იზაზღვროს სახურება. მას ასევე შეუძლია თვითდასაქმება.

**XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:**

სახელი, გვარი - ნინო ლურსმანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: 5 99 374 326

ელ-ფოსტა: [n.lursmanashvili@mail.ru](mailto:n.lursmanashvili@mail.ru)

ს ა რ ჩ ე ვ ი

I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება.....	2
II პროფესიული განათლების საფეხური.....	2
III მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	2
IV პროგრამის მოცულობა.....	2
V პროგრამის ხანგრძლივობა.....	2
VI სწავლების ენა.....	2
VII პროგრამაზე მიღების წინაპირობა.....	2
VIII სფეროს აღწერა.....	2
IX პროფესიული პროგრამის მიზანი.....	2
X სწავლის შედეგი.....	3
XI სწავლის შედეგების რუქა.....	6
XII სასწავლო გეგმა.....	7
XIII პროგრამის განხორციელების სპეციფიკა.....	8
XIV პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა).....	9
XV პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება.....	9
XVI სწავლის მეთოდები.....	10
XVII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.....	11
XVIII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.....	11
XIX დასაქმების სფერო.....	12
XX ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.....	13
XXI სილაბუსები	